ოქმი N 6

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი **2024 წლის 11 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბექა მამაცაშვილი
2. კობა გერგაია
3. ნუგზარ შუშანია
4. აკაკი ხურცილავა
5. სერგო ბერაია
6. ქეთი კვირიკაშვილი

სხდომაზე დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ბ. მამაცაშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 მაისის N50-502414549 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერირორიაზე არსებულ N4 ქუჩისთვის ნინო კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 მაისის N50-502414549 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერირორიაზე არსებულ N4 ქუჩისთვის ნინო კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ მამაცაშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ N4 ქუჩისთვის ნინო კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე და განაცხადა, რომ 2024 წლის 24 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას ერთობლივი განცხადებით, მიმართა ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბნის მოსახლეობამ. ისინი ითხოვენ ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბანში, N4 ქუჩას, კანონის ფარგლებში, გადაერქვას სახელი და ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდის, ნინი კონჯარიას სახელი მიენიჭოს. ზემო აღნიშნულის გამო, კომისიის მიერ ორგანიზებულ იქნა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და საკრებულოს აპარატის წარმომადგენელს სთხოვა დამსწრე საზოგადოებისთვის მიეწოდებინა საზოგადოებრივი გამოკითხვის კითხვარი.

აზრი გამოთქვეს: - გენადი ქაძანაია (საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი) - განაცხადა, რომ ნინი კონჯარია გამოირჩეოდა ნიჭიერებით, სულიერი სილამაზითა და სამშობლოსადმი სიყვარულით. ის იყო წარმატებული მოსწავლე, ერთგული მეგობარი და კარგი შვილი. საჭანიოს უბნის მცხოვრებლები ნინი კონჯარიას სახელის უკვდავსაყოფად ითხოვენ მისი სახელი მიენიჭოს ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბნის N4 ქუჩას.

წარმოდგენილ წინადადებას დაეთანხმა: **ლ. ქავთარაძე, გ. ქაჯაია,**

დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოკითხვის კითხვარის შევსების შემდეგ, საკრებულოს აპარატის წარმომადგენლების მხრიდან დათვლილ იქნა შედეგები, გამოკითხულთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით თანხმობა მიეცა ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საჭანიოს უბანის N4 ქუჩას მიენიჭოს ნინი კონჯარიას სახელი

დაადგინეს: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საჭანიოს

უბანის N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაცია გადაეგზავნოს შესაბამის სამთავრობო კომისიას, საბოლოო გადაწყვეტილებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ბექა მამაცაშვილი